

## ვერო SDMX მეტამონაცემების სტრუქტურა (ESMS)

### საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
<b>1</b>	<b>საკონტაქტო ინფორმაცია</b>	
1.1	საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2	საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3	საკონტაქტო პირი	გიორგი სანაძე
1.4	საკონტაქტო პირის ფუნქცია	ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5	საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6	საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	<a href="mailto:gsanadze@geostat.ge">gsanadze@geostat.ge</a>
1.7	საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (200)
1.8	საკონტაქტო პირის ფაქსი	-
<b>2</b>	<b>მეტამონაცემების განახლება</b>	
2.1	მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2019 წ. 8 თებერვალი
2.2	მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2019 წ. 8 თებერვალი
2.3	მეტამონაცემების ბოლო განახლება	2019 წ. 8 თებერვალი
<b>3</b>	<b>სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა</b>	
3.1	მონაცემების აღწერა	<p>საწარმოთა კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევის ფარგლებში ქვეყნდება 9 მაჩვენებელი:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ბრუნვა;</li> <li>2. პროდუქციის გამოშვება;</li> <li>3. დასაქმებულთა რაოდენობა – სულ;</li> <li>4. მათ შორის დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა;</li> <li>5. დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება;</li> <li>6. დამატებული ღირებულება;</li> <li>7. შრომითი დანახარჯები;</li> <li>8. საქონლისა და მომსახურების ყიდვები;</li> <li>9. გასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები.</li> </ol> <p>აღნიშნული მონაცემები ქვეყნდება:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საწარმოთა ზომის მიხედვით;</li> </ol>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>2. ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით;</p> <p>3. საკუთრების ფორმების მიხედვით;</p> <p>4. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით;</p> <p>5. რეგიონების მიხედვით.</p> <p>2017 წლის I კვარტალიდან მონაცემები ქვეყნდება საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგიით, რომლის მიხედვითაც:</p> <p><b>მსხვილი ზომის საწარმოებს</b> განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 250 (ძველი მეთოდოლოგიით – 100) კაცს ან ბრუნვის საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. (ძველი მეთოდოლოგიით – 1.5 მლნ.) ლარს.</p> <p><b>საშუალო ზომის საწარმოებს</b> მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 249 კაცის ჩათვლით (ძველი მეთოდოლოგიით – 20-დან 99 კაცის ჩათვლით), ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე (ძველი მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ. ლარამდე).</p> <p><b>მცირე ზომის საწარმოებს</b> მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 49 (ძველი მეთოდოლოგიით – 19) დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს (ძველი მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ.).</p>
3.2	კლასიფიკაციის სისტემა	მონაცემები ქვეყნდება ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის (NACE Rev. 1) და 2017 წლის I კვარტალიდან (NACE Rev. 2) სექციების მიხედვით.
3.3	სექტორის მოცვა	საწარმოთა კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევა მოიცავს მთელ ბიზნეს სექტორს, გარდა არაფინანსური კოორპორაციებისა (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ა.შ.).
3.4	სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	<p><b>აქტიური საწარმო</b> – ყველა არაფინანსური კორპორაცია, რომელიც აქტიური იყო საანგარიშო პერიოდის გამავლობაში.</p> <p><b>ადგილობრივი ერთეული</b> – საწარმოს ყველა ცალკეული ნაწილი (ფილიალი), რომელიც აქტიური იყო საანგარიშო პერიოდში.</p> <p><b>ბრუნვა</b> – საწარმოს მიერ საკუთარი პროდუქტის გაყიდვებიდან ან მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი (დღგ-სა და აქციზის გადასახადის გარეშე).</p> <p><b>გამოშვებული პროდუქცია</b> – წარმოებული პროდუქციის რაოდენობა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, გადაყიდვისათვის შექმნილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილების ჩათვლით.</p> <p><b>კაპიტალიზებული პროდუქცია</b> – იმ საქონლის ღირებულება, რომელიც წარმოებულია საკუთარი ძალებით და რჩება მწარმოებლებს საკუთარი საბოლოო მოხმარებისა თუ ინვესტირებისათვის. უკანასკნელში მოიაზრება როგორც ძირითადი მატერიალური, ისე არამატერიალური აქტივების (მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ.) წარმოება. საკუთარი სარგებლობისათვის შექმნილი პროდუქცია ის პროდუქციაა, რომელიც არ იყიდება და მისი ღირებულება შეფასდება მსგავს პროდუქციაზე არსებული ძირითადი ფასების მიხედვით. თუ ეს</p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>შეუძლებელია, მაშინ შეფასება ხდება წარმოების ხარჯების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზებული საქონელი შეიძლება ჩართული იქნეს ინვესტიციებშიც.</p> <p><b>საქონლისა და მომსახურების ყიდვები</b> – საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ყველა სახის საქონლისა და მომსახურების ყიდვების ჯამი, მიუხედავად იმისა, საქონელი და მომსახურება განკუთვნილია თუ არა ფორმისა და თვისებების შეუცვლელად გადაყიდვისათვის.</p> <p><b>გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები</b> – საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესყიდული საქონელი და მომსახურება, რომელიც განკუთვნილია ფორმისა და თვისებების შეუცვლელად გადაყიდვისათვის. მაჩვენებელი გაანგარიშდება შესყიდვის ფასებში დღგ-სა და აქციზის გადასახადის გარეშე.</p> <p><b>დასაქმებულთა რაოდენობა</b> – საწარმოში დასაქმებულ პირთა (დაქირავებულები, დასაქმებული დამფუძნებლები და საოჯახო საწარმოს შემთხვევაში – დასაქმებული ოჯახის წევრები) საშუალო რაოდენობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.</p> <p><b>დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა</b> – საწარმოში დასაქმებული პირები, რომელთა შრომითი ურთიერთობა რეგულირდება საწარმოსთან დადებული ხელშეკრულებით, ანუ კონტრაქტით, და რომელთაც დაერიცხათ და/ან მიეცათ ხელფასი.</p> <p><b>შრომითი დანახარჯები</b> – იანგარიშება საანგარიშო პერიოდში დასაქმებულ პერსონალზე დარიცხული ყველანაირი ხარჯის შეჯამებით: შრომის ანაზღაურება (ხელფასი, დანამატი, პრემია, საშვებულებო დანხმარება, საკომპენსაციო გასაცემლები და სხვ.), რომელიც დაერიცხა დასაქმებულ პერსონალს (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) ან გაიცა ნატურალური სახით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. აგრეთვე სოციალური დანხმარება საწარმოს სახსრებიდან, ხარჯები საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, კულტურული და სხვა ასპექტით).</p> <p><b>დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში</b> – გამოშვებული პროდუქცია, რომელსაც ემატება სუბსიდიები პროდუქტებზე, აკლდება საქონლისა და მომსახურების ყიდვები (გარდა უცვლელად გადაყიდვისათვის შეძენილი პროდუქტისა), აგრეთვე აკლდება ან ემატება ნედლეულის, მასალებისა და სხვა შრომის საგნების მარაგების ცვლილება. აღნიშნული სიდიდე წარმოადგენს დამატებულ ღირებულებას საბაზისო ფასებში, რომელიც შეფასებულია ეკონომიკური ერთეულის წარმოებითი საქმიანობის სხვადასხვა ფაქტორული ხარჯების ღირებულების მიხედვით. დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში განისაზღვრება შემდეგნაირად:</p> <p><b>ბრუნვა – საქონლისა და მომსახურების ყიდვები +/- საქონლისა და მომსახურების მარაგების ცვლილება + კაპიტალიზებული პროდუქცია + სუბსიდიები პროდუქტებზე = დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში.</b></p> <p><b>შუალედური მოხმარება</b> – იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომელიც მოხმარებულია დანახარჯების სახით წარმოების პროცესში. ამ შემთხვევაში გამორიცხულია ფიქსირებული აქტივები (ძირითადი კაპიტალი), რომლის მოხმარება განიხილება როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება. საქონელი და მომსახურება წარმოების პროცესში შეიძლება იქნეს გამოყენებული ან ტრანსფორმირებული.</p> <p><b>ფიქსირებული აქტივები (ძირითადი კაპიტალი)</b> – წარმოებითი აქტივები, რომლებიც მრავალჯერ ან ხანგრძლივად (ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში) გამოიყენება წარმოების პროცესში.</p>
3.5	სტატისტიკური ერთეული	საწარმო – ეკონომიკური ერთეული, რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, დამოუკიდებლად

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს საკუთარი რესურსების განაწილების შესახებ (ფლობს გადაწყვეტილებათა მიღებაში თავისუფლების განსაზღვრულ ხარისხს). საწარმო ახორციელებს ეკონომიკური საქმიანობის ერთ ან რამდენიმე სახეს ერთი ან მეტი ადგილმდებარეობის მიხედვით. საწარმო შეიძლება იყოს ინდივიდუალური (ფიზიკური) ან იურიდიული პირი.
3.6	სტატისტიკური პოპულაცია	<p>ყველა აქტიური საწარმო, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებული არ არის ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის (NACE Rev. 1) შემდეგ სექციებთან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>J – ფინანსური შუამავლობა;</li> <li>L – საჯარო მმართველობა;</li> <li>P – შინამომსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის;</li> <li>Q – ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა.</li> </ul> <p>ხოლო ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორ NACE Rev. 2-ში:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>K – საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები;</li> <li>O – სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება;</li> <li>T – შინამეურნეობების, როგორც დამკირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის;</li> <li>U – ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა.</li> </ul> <p>სულ, კვარტალის ფარგლებში საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის შერჩევის ზომა დაახლოებით 12500-ს შეადგენს.</p>
3.7	საანგარიშო არეალი	საქართველოს მთელი ტერიტორია, გარდა ოკუპირებული რეგიონებისა.
3.8	დროის მოცვა	1999 წლიდან
3.9	საბაზო პერიოდი	-
4	<b>ზომის ერთეული</b>	რაოდენობა, ლარი.
5	<b>საანგარიშო პერიოდი</b>	კვარტალი.
6	<b>ინსტიტუციური მანდატი</b>	
6.1	სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები	<p>საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ";  <a href="http://geostat.ge/cms/site_images/saqstatis_kanoni.pdf">http://geostat.ge/cms/site_images/saqstatis_kanoni.pdf</a>  სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა;  <a href="http://geostat.ge/cms/site_images/programa-2018.pdf">http://geostat.ge/cms/site_images/programa-2018.pdf</a>  საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება.  <a href="http://geostat.ge/cms/site_images/saqstatis_debuleba.pdf">http://geostat.ge/cms/site_images/saqstatis_debuleba.pdf</a></p>
6.2	მონაცემთა გაზიარება	-
7	<b>კონფიდენციალურობა</b>	
7.1	კონფიდენციალურობა – პოლიტიკა	1. საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ":

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<ul style="list-style-type: none"> <li>• კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება.</li> <li>• კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა.</li> <li>• კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება.</li> </ul> <p><a href="http://geostat.ge/cms/site_images/saqstatis_kanoni.pdf">http://geostat.ge/cms/site_images/saqstatis_kanoni.pdf</a></p> <p>2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ <a href="http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/law/konfidencialurobis%20brzaneba.pdf">http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/law/konfidencialurobis%20brzaneba.pdf</a></p> <p>3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ <a href="http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/law/microdata%20brzaneba.pdf">http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/law/microdata%20brzaneba.pdf</a></p> <p>4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. <a href="https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437">https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</a></p>
7.2	კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.</li> <li>• საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.</li> </ul>
<b>8</b>	<b>გამოქვეყნების პოლიტიკა</b>	
8.1	გამოქვეყნების კალენდარი	მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2	გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა	<a href="http://geostat.ge/index.php?action=page&amp;p_id=22&amp;lang=geo">http://geostat.ge/index.php?action=page&amp;p_id=22&amp;lang=geo</a>
8.3	მომხმარებელთა ხელმისაწვდომობა	მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.
<b>9</b>	<b>გავრცელების სიხშირე</b>	კვარტალი.

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
<b>10</b>	<b>ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა</b>	
10.1	პრეს-რელიზები	გამოკვლევის შედეგებს თან ერთვის პრეს რელიზი: <a href="http://geostat.ge/?action=news&amp;lang=geo&amp;npid=1306">http://geostat.ge/?action=news&amp;lang=geo&amp;npid=1306</a>
10.2	პუბლიკაციები	1. კვარტალური პუბლიკაციები: <a href="http://geostat.ge/index.php?action=wnews_archive1&amp;qy=0&amp;qy1=1&amp;lang=geo">http://geostat.ge/index.php?action=wnews_archive1&amp;qy=0&amp;qy1=1&amp;lang=geo</a> 2. წლიური პუბლიკაციები: <a href="http://www.geostat.ge/index.php?action=wnews_archive1&amp;qy=1&amp;qy1=16&amp;lang=geo">http://www.geostat.ge/index.php?action=wnews_archive1&amp;qy=1&amp;qy1=16&amp;lang=geo</a>
10.3	ონლაინ მონაცემთა ბაზა	ონლაინ მონაცემთა ბაზა წარმოდგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-საიტზე, პროგრამა PC-Axis-ის ფორმატში: <a href="http://91.208.144.188/Default.aspx?AspxAutoDetectCookieSupport=1">http://91.208.144.188/Default.aspx?AspxAutoDetectCookieSupport=1</a>
10.4	მიკრომონაცემებზე ხელმისაწვდომობა	-
10.5	სხვა	-
10.6	დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე	მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="http://geostat.ge/index.php?action=page&amp;p_id=61&amp;lang=geo">http://geostat.ge/index.php?action=page&amp;p_id=61&amp;lang=geo</a>
10.7	დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ	-
<b>11</b>	<b>ხარისხის მართვა</b>	
11.1	ხარისხის უზრუნველყოფა	სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).
11.2	ხარისხის შეფასება	საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
<b>12</b>	<b>შესაბამისობა</b>	
12.1	მომხმარებელთა მოთხოვნები	მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მკვლევარები და სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, მედია საშუალებები და სხვ. მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, მარკეტინგული სტრატეგიის დასაგეგმად ან ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და შესაფასებლად.
12.2	მომხმარებელთა კმაყოფილება	მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა არ ჩატარებულა. თუმცა იგი მუდმივად კონტროლდება ფორმალური და

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		არაფორმალური კონტაქტების მეშვეობით.
12.3	სისრულე	მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
<b>13</b>	<b>სიზუსტე და სანდოობა</b>	
13.1	ზოგადი სიზუსტე	ხდება მიღებული მონაცემების შედარება გასული პერიოდის შესაბამის მონაცემებთან. რიგ შემთხვევებში, დამუშავების პროცესში ხდება მონაცემთა გადამოწმება როგორც ადმინისტრაციულ წყაროებში, ისე საწარმოს წარმომადგენლებთან.
13.2	შერჩევითი ცდომილება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ქვეყნის დონეზე არ აღემატება 0.5%-ს;</li> <li>2. ეკონომიკური საქმიანობის სახეების ფარგლებში – 2-3%-ს;</li> <li>3. რეგიონის დონეზე – 1-2%-ს;</li> <li>4. სტრატის დონეზე – 10%-ს.</li> </ol>
13.3	არაშერჩევითი ცდომილება	არაშერჩევითი ცდომილების მინიმუმაციის მიზნით ხდება მონაცემების შედარება ადმინისტრაციულ წყაროებთან.
<b>14</b>	<b>დროულობა და პუნქტუალობა</b>	
14.1	დროულობა	მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 65-ე დღეს.
14.2	პუნქტუალობა	მონაცემები ქვეყნდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
<b>15</b>	<b>თანამიმდევრულობა და შესადარისობა</b>	
15.1	შედარებითობა – გეოგრაფიული	საქართველოს ყველა რეგიონისთვის გამოყენებულია ერთი და იგივე მეთოდოლოგია და მიდგომები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო მეთოდოლოგიას.
15.2	შესადარისობა – დროში	დროითი მწკრივის მონაცემები ერთმანეთთან შესადარისია.
15.3	თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის	მონაცემები თანამიმდევრულია.
	თანამიმდევრულობა – შიდა	მონაცემები თანამიმდევრულია.
<b>16</b>	<b>დანახარჯები და დატვირთვა</b>	საწარმოთა კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევის ბიუჯეტი 256 000 ლარი (64 000 ლარი კვარტალში) და შერჩევაში დაახლოებით 12 500 საწარმოა. სტატისტიკურ სამუშაოთა განხორციელების ზოგადი პრინციპების ბრძანების შესაბამისად, პირადი სტატისტიკოსის ანაზღაურება ერთ ინტერვიუზე (ონლაინ კითხვარის შევსებაზე) შეადგენს 120 ლარს, თითოეულ გამოპასუხებულ საწარმოზე დამატებით 11 ლარს, მაგრამ არაუმეტეს 620 ლარისა.
<b>17</b>	<b>მონაცემთა გადასინჯვა</b>	

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
17.1	მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა	გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="http://www.geostat.ge/cms/site_images/Revision%20policy_Geostat_20%20July_final.pdf">http://www.geostat.ge/cms/site_images/Revision%20policy_Geostat_20%20July_final.pdf</a>
17.2	მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა	მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.
<b>18</b>	<b>სტატისტიკური დამუშავება</b>	
18.1	პირველადი მონაცემები	საწარმოთა კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევის შევსებული კითხვარი (ონლაინ კითხვარი).
18.2	მონაცემთა შეგროვების სიხშირე	ყოველკვარტალურად.
18.3	მონაცემთა შეგროვება	მონაცემთა შეგროვება 2013 წლამდე ხდებოდა ქალაქის კითხვარის საფუძველზე. 2013 წლის შემდეგ უმეტეს შემთხვევაში (დაახლოებით 90%) გამოიყენება ონლაინ კითხვარი.
18.4	მონაცემთა კონტროლი	მონაცემთა შემოწმება უპირველესად ხდება პროგრამულად, მონაცემთა ბაზაში არსებული არითმეტიკული კონტროლის საფუძველზე. მეორადი კონტროლი ხორციელდება როგორც გამოკვლევის საველე პერსონალის (ინტერვიუერების), ისე ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების მიერ.
18.5	მონაცემთა გაანგარიშება	საწარმოთა შერჩევა ხორციელდება შემთხვევითი სტრატეგიული შერჩევის საფუძველზე. მონაცემთა შეწონვა ხდება ყოველკვარტალურად. გამოკვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები მრავლდება მინიჭებულ წონებზე, საწარმოთა დონეზე და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მათი დაჯამება იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებსაც ითვალისწინებს ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია.
18.6	მოსწორება	არ გამოიყენება.
<b>19</b>	<b>კომენტარი</b>	-